ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№4-1/დ636-25
"11" 04 2025 წ.

სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე დადგენილება
№შ-6/25-2
(მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების
ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე)

11.04.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა განვიხილე, შ.პ.ს. „ბინექს"-ს (ს.ნ. №406095130; მის.: ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, თ. ერისთავის ქუჩა, ჩიხი №3, ოფისი №5) მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2024 წლის 29 ივლისს მიღებული №4-1/დ55-25 №შ-6/25 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი და გამოვარკვიე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2025 წლის 20 იანვარს მიღებული №4-1/დ55-25 №შ-6/25 დადგენილებით, შეჩერებულ იქნა, ქ. თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №22, კორპუსი №1, კორპუსი №2, საკ. კოდი №01.12.12.024.195-ზე, მიმდინარე სექტორი №4, შენობა №3-ის მშენებლობა, მშენებლობის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრამდე.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ, 2025 წლის 08 აპრილს შედგენილი მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ირკვევა, რომ აღმოფხვრილ იქნა მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 20 იანვარს მიღებული №4-1/დ55-25 №შ-6/25 დადგენილებით გათვალისწინებული მშენებლობის შეჩერების სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიი"-ს №01/2132 28.03.2025წ. წერილით, ირკვევა, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად აღმოფხვრილია მშენებლობის შეჩერების მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ყველა გარემოება, რის გამოც „კომპანია" არ არის წინააღმდეგი, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან აღმოფხვრილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 127-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული საფუძვლები, ამასთანავე, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის

შესაბამისად „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს",

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლით და

დავადგინე:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, შ.პ.ს. „ბინექს"-ს მიმართ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ, 2025 წლის 20 იანვარს მიღებული №4-1/დ55-25 №შ-6/25 დადგენილება;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი

გოგი ჩიქოვანი

მშენებლობის ჯალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოების დასახელება	I წელი												II წელი												III წელი					
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4	5	6
1	ნულოვანი ციკლის დამთავრება																														
2	6 სართულამდე რკ/ბარჯასის მოწყობა																														
3	11 სართულამდე რკ/ბარჯასის მოწყობა																														
4	რკ/ბეტონის ფილაზე ბრტყელი სახურავის მოწყობა																														
5	შენობის გარე პერიმეტრის ეკლების მოწყობა																														
6	ბინების გამყოფი ეკლებისა და ეიბის უჯრედის ეკლების მოწყობა																														
7	ბინების შიდა ტიხრების მოწყობა																														
8	სადარბაზოსა და ეიბის უჯრედის ლესვა																														
9	ბეტონის მოჭიმული იატაკების მოწყობა ეიბის უჯრედში																														
10	ეიბის საფეხურების მოწყობა ბეტონის ფილებით																														
11	ჯარ-ფანჯრებისა და ვიტრაჟების მოწყობა																														
12	ბინების ლითონის ჯარების მოწყობა																														
13	ლითონის მოაჯირებისა და ჭალუზების მოწყობა ეიბის უჯრედებში																														
14	ლითონის მოაჯირებისა და ჭალუზების მოწყობა აივნებზე																														
15	ფასადების ლესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით																														
16	ფასადების შეღებვა წყალმედეგი საღებავით																														
17	ეიბის უჯრედისა და სადარბაზოს ეკლების ღებვა წყალმედეგი საღებავით																														
18	ლითონის ნაწარმის(მოაჯირები, ჭალუზები) შეღებვა სინთეტური საღებავით																														
19	ლიფტების მონტაჟი																														
20	წყალსადენისა და კანალიზაციის შიდა და გარე ქსელების მოწყობა																														
21	ელ. მომარაგების შიდა და გარე ქსელების მოწყობა																														
22	გაზ მომარაგების შიდა და გარე ქსელების მოწყობა																														
23	ვენტილაციის მოწყობა ავტოსადგომში																														
24	ტერიტორიის ეეთილმოწყობა																														
25	სხვადასხვა სამუშაოები																														
26																															

ფორმატი	ფაილის სახელი
A 3	მშენებლობის ჯალენდარული გრაფიკი

არქიტექტურული ნაწილი

შენიშვნა:

პირობითი ნიშნები:

დამკვეთი:	თ. ებილაშვილი
	შპს "ბინექს"

მისამართი:
ქ.თბილისი. ჭყონდიდელის ქუჩა №22.
საკადასტრო კოდი: 01.12.12.024.195

დაკვეთა:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
შემსრულებელი	შ.პ.ს. "ბინექს"

მის: ქ. თბილისი გახოკიძის №139
ს/კ 406095130

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	თ. ებილაშვილი		
მთ.არქიტექ.	გ. გოგრიჭიანი		
ავტორი	გ. გოგრიჭიანი		
თანაავტორი	მ.სომხიშვილი		
დაამუშავა	მ.სომხიშვილი		
შეამოწმა	გ. გოგრიჭიანი		

დაკვეთა:	6
თარიღი:	16/11/2018
მასშტაბი:	1:200

BINEX

სტადია	ფურცელი	ფურც. რაოდ.